

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი

„3“ აპრილი 2013

ერთი მხრივ,

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045, ინსტიტუციური აკრედიტაცია: N36/ს - 03.12.2008; ავტორიზაცია: N131 - 12.08.2011), წარმოდგენილი მისი რექტორის - ვალენტინა საყვარელიძის სახით

და მეორე მხრივ, შ.ს.ს. „აღვსოვთ კონსალტინგი“, წარმოდგენილი მისი დირექტორი - ნინო ქიქოძის სახით

პიროვნების ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების, სამართლის აკადემიური პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და ამავე პროგრამის სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების, ასევე მათი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირების ხელშეწყობის, შრომის ბაზარის მოთხოვნილებების ადეკვატური იურიდიული კადრების მომზადებისა და გამოვლენის მიზნებიდან გამომდინარე თანხმდებიან, რომ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, შ.ს.ს. „აღვსოვთ კონსალტინგი“ უზრუნველყოფს:

- სამართლის აკადემიური პროგრამის დამამთავრებელი კურსის წინასწარ შეთანხმებული ოდენობის სტუდენტების წინასწარ შეთანხმებული ვადით მიღებას სამართლის აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის გასაგლეჯად;
- პრაქტიკანტის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა განსაზღვრას, მიმღები დაწესებულების კომპეტენციიდან, მიმღები დაწესებულების სამსახურებრივი საჭიროებიდან და სამართლის აკადემიური პროგრამითა და სასწავლო სილაბუსით გათვალისწინებული შინაარსიდან გამომდინარე;
- მენტორის (პრაქტიკანტთა მიერ პროფესიული პრაქტიკის გავლის ზედამხედველი პირი, რომელიც გამოიყოფა მიმღები დაწესებულების თანამშრომელთაგან) გამოყოფას;
- პრაქტიკანტის მიერ შესრულებული სამუშაოს აღწერილობათა დღიურისა და ანგარიშის დადასტურებას;
- პროფესიული პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტას.

მხარეები, ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და დაგეგმილი თანამშრომლობის პრაქტიკული რეალიზაციისათვის უფლებამოსილნი არიან საჭიროების შემთხვევაში გააფორმონ ხელშეკრულებები.

ეს მემორანდუმი დადებულია 1 წლის ვადით და ექვემდებარება ავტომატურად იმავე ვადით გაგრძელებას, თუ ერთ-ერთმა მხარემ ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადა უარი მის ავტომატურ გაგრძელებაზე.

მემორანდუმი დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შ.ს.ს. „აღვთის კონსტრუქციის“

104981873 დირექტორი

ნ. აკაკი შვილი

ბ.ა.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი
ვალენტინა საფარელიძე

